ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

2024 წლის 6 თვის ანგარიში

სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური (30 05)

(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

1.1 **პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მომსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ-საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 05	შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	4 600.0	5 441.4	3 341.04	61.4%	11.9

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი ან/და დაზიანებული მოსამსახურეების მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა, მათი ოჯახის წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურება;
- ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირების მიზნით განხორციელდა ბენეფიციართა (სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა) დისპანსერიზაცია, მედიკამენტებით და სამედიცინო სახარჯი მასალით უზრუნველყოფა, სტაციონალური მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და შეზღუდული შესაძლებლობლობის მქონე პირთა

სამედიცინო შემოწმება, კერძოდ: ექიმ-სპეციალისტთან განხორციელდა 27 913 ვიზიტი; სტომატოლოგიური მომსახურება გაეწია 694 პაციენტს; ჩატარდა 6 654 ულტრაბგერითი დიაგნოსტირება; ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 1 624 პროცედურა; ფიზიოთერაპიულ კაბინეტში განხორციელდა 6 298 პროცედურა; რენტგენოლოგიის კაბინეტში 5 181 პროცედურა; ჩატარდა 37 931 სხვადასხვა ლაბორატორიული ანალიზი; საინექციო კაბინეტში განხორციელდა 318 პროცედურა; მასაჟის კაბინეტში ჩატარებულ იქნა 600 სამკურნალო პროცედურა; ცენტრალური სამხედრო-საექიმო კომისია გაიარა ახლად მისაღებმა 2 624 პირმა, 527 წვევამდელმა და 86 სამოქალაქო პირმა.

- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №72-ში მდებარე სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები.